# მრგვალი ბალთების ფუნქცია, სიმბოლო და კონტექსტი

**ნინო ჩხარტიშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*საინჟინრო ფაკულტეტზე არქეოლოგიაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის*

*მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ყიფიანი, სრული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2014**

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს ბრინჯაოს მრგვალი ფორმის ბალთების შესწავლა. დღეისათვის, მსურს განვიხილო ამ ტიპის სამი არტეფაქტი შიდა ქართლიდან (სოფ. იკოთი და სოფ. ქლივანა), რომელთა შესახებ ცნობები მოვიძიე ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. აღსანიშნავია, რომ ბალთებს შორის, ძირითადი ინტერესი და ხანგრძლივი შესწავლის საგანი ბრინჯაოს ქართული ჭვირული ოთხკუთხა ბალთებია. საინტერესოა. რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა ცნობილი ბრინჯაოს მრგვალი ბალთები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სტილურად ერთ ჯგუფს განეკუთვნებიან მათი ცალკე შესწავლა არავის უცდია. კვლევის პერიოდში მოვიძიე ქართული და უცხოური ლიტერატურა, სადაც გავეცანი ზემოთ ხსენებული ტიპის ბალთების ანალოგიებს. პრაქტიკულად ამის შედეგად, შესაძლებელი გახდა ზოგიერთი ბალთის სრულად აღქმა, გარკვეული დასკვნების გამოტანა, მრგვალი ბალთების დამახასიათებელი ნიშნების დადგენა, მათი ერთიან კონტექსტში განხილვა.

**ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები:** ბრინჯაო, მრგვალი, ბალთა.

# Abstract

Master's thesis research is aimed at studying the bronze round-shaped buckles. Today, I want to discuss three of these types of artifacts from Shida Kartli (from village Ikoti and from village Klivana). About them I found information in Georgian National Museum. It should be noted that the main interest in studying buckles is rectangular types of them. It's interesting that round bronze buckles are less known in the seientific literature, despite the fact that they belong to one group. However, no one tried to study them separatly. During the survey period, I have seen Georgian and foreign literature, where I saw analogy round buckles. After this it became possible to fully comprehend some of the buckle's signs, make certain conclusions, study round buckles features and to determine them in one context.

The main thematic keywords: bronze, round, buckle.